თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის სხდომის

ოქმი N7

ქ. თელავი 2021 წლის 27 ივლისი

თავმჯდომარეობდა: კომისიის თავმჯდომარე: **დავით ღაღანიძე**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: **გიორგი ჩაბრაშვილი, გოჩა წაწალაშვილი, ვასილ არაბული, ალექსანდრე კუპატაძე, არჩილ თვალიაშვილი, ირაკლი სულხანიშვილი.**

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსი **დავით ქსოვრელიშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის, მშენებლობისა და არქიტექტურის განყოფილების უმცროსი სპეციალისტი **ბესიკ ხუციშვილი,** შ.ს.ს. საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის კახეთის მთავარი სამმართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორი **დიმიტრი ხიზანიშვილი.**

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ქ. თელავში, მაწანწარაზე, ჭავჭავაძის ქუჩის მაცხოვრებელთა კოლექტიური განცხადების განხილვა.

მომხს. დ. ღაღანიძე

მოისმინეს: **1.** ქ. თელავში, მაწანწარაზე, ჭავჭავაძის ქუჩის მაცხოვრებელთა კოლექტიური განცხადების განხილვა.

აზრი გამოთქვეს: **დავით ღაღანიძემ** აღნიშნა, რომ შემოსულია ჭავჭავაძის ქუჩის მაცხოვრებელთა კოლექტიური განცხადება, რომლებიც ითხოვენ სატვირთო ავტომობილების მოძრაობის ამკრძალავი ნიშნის გაუქმებას. ასევე მოსახლეობა ითხოვს 26 მაისისა და ოძელაშვილის ქუჩების გადაკვეთაზე სარკის დაყენებას, 26 მაისის ქუჩაზე მუსიკალურ სკოლასთან და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფისთან ,,მწოლიარე პოლიციელის'' მოწყობას.

დიმიტრი ხიზანიშვილმა აღნიშნა, რომ რუსთაველის ქუჩაზე დავითაშვილის ქუჩის კვეთამდე ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის უსაფრთხოების მიზნით საჭიროა მოეწყოს უსაფრთხოების საკუთხედი.

დავით ქსოვრელიშვილმა აღნიშნა, რომ რუსთაველის ქუჩა არის რესპუბლიკური მნიშვნელობის და საჭიროა ეთხოვოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს აღნიშნული მონაკვეთის მოწესრიგება.

გადაწყვიტეს: ეთხოვოს თელავის მუნიციპალიტეტის მერიას უზრუნველყოს ჭავჭავაძის ქუჩაზე ამკრძალავი საგზაო ნიშნის გაუქმება, 26 მაისის ქუჩაზე სარკისა და ,,მწოლიარე პოლიციელის'' მოწყობა.

შუამდგომლობით მიმართოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს რუსთაველისა და დავითაშვილის ქუჩების გადაკვეთაზე მოძრაობის უსაფრთხოების მიზნით, სათანადო ღონისძიებების გასატარებლად.

კომისიის თავმჯდომარე _____ დავით ღაღანიძე